



ჯანდაცვა



დასაქმება



ბანათლება



ტრანსპორტი



ბინნაჲ



ტრეფიკინა



სტოფლის
მეურნეობა



მიგრანტების
რეინტეგრაცია

რეინტეგრაციის გზაკვლევი დაბრუნებულ მიგრანტებისთვის



სახელმწიფო სერვისების
ბანკითაშვის სააბანო

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ შირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

1. რას ნიშნავს საყოველთაო ჯანდაცვა?

2013 წლის 28 თებერვლიდან საქართველოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

2. როგორ უნდა ისარგებლოთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით?

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მონუმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირებს, რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია კანონმდებლობით.
- გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ სურვილისამებრ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე ნებისმიერი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში. პროგრამით მოსარგებლე პირს უფლება აქვს, რომ რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში, თუმცა შეუძლია შეიცვალოს აღნიშნული დაწესებულება დარეგისტრირებიდან 2 თვის შემდეგ.

გახსოვდეთ:

- გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სამედიცინო დაწესებულების არჩევისას;
- გეგმიური მომსახურების მისაღებად, მოსარგებლემ, ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა სამედიცინო დაწესებულებიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვის ცენტრებში უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (სამედიცინო საჭიროების დამადასტურებელი ცნობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა №1V-100/ა), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (18 წლამდე ასაკის მოქალაქეთა შემთხვევაში, დასაშვებია დაბადების მონუმობა) ასლი, ანგარიშფაქტურა,



კალკულაცია – საჭიროების შემთხვევაში და შეავსოს შესაბამისი ფორმის განაცხადი საგარანტიო წერილის მისაღებად.

3. რა მომსახურება აბინაზღაურდებათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით?

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ანაზღაურდება გეგმიური ამბულატორიული სერვისები, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, გეგმიური ქირურგიული და კარდიოქირურგიული ოპერაციები, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია, მშობიარობა და საკეისრო კვეთა. დამატებითი ინფორმაცია იხილოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.moh.gov.ge

4. გაქვთ ქრონიკული დაავადება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით თუ გაკუთვნიტ შეღავათები?

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მთელი რიგი ქრონიკული დაავადებების ქირურგიული მკურნალობა.

5. თუ გჭირდებათ ქირურგიული ჩარევა (ოპერაცია):

- გეგმიური ოპერაციების შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერით. ვაუჩერის/საგარანტიო წერილის მისაღებად პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებიდან მიღებული შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

6. როგორ უნდა იმკურნალოთ საქართველოში C ჰეპატიტი?

- C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობისათვის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევებზე არსებული შეღავათით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოში მოქალაქეებს, რომლებიც დაავადებულნი არიან C ჰეპატიტით.



7. ხართ შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირი:

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საჭიროების მიხედვით გეკუთვნით:

- მექანიკური საგარძელ-ეტლი;
- ელექტრო საგარძელ-ეტლი;
- უსინათლოთა ხელჯოხი;
- ხელჯოხ-ყავარჯენი;
- ყავარჯენი;
- გადასაადგილებელი ჩარჩო (ჩოჩიალა);
- საპროთეზო-ორთოპედიული საშუალება;
- სმენის აპარატი;
- კობლერული იმპლანტი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალური კომისია, დადგენილი წესით, განიხილავს სააგენტოში შემოსულ განცხადებებს საგარძელ-ეტლით, ან საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებით უზრუნველყოფის თაობაზე და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, გაცნობებთ მას წერილობით.

გაითვალისწინეთ: თუ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ ვადაში ვაუჩერს არ წარუდგენთ დამხმარე საშუალების გამცემ თქვენ მიერ არჩეულ ორგანიზაციას, კომისიის გადაწყვეტილება ჩაითვლება გაუქმებულად.



საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - სერვისის ცენტრები:

| | |
|-----------------|--|
| თბილისი | ვაჟა-ფშაველას გამზ. N70ა; ბოჭორმის ქ. N8 |
| | ივ. ჯავახიშვილის ქ. N 51ბ |
| აჭარა | ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. N2ა |
| გურია | ქ. ოზურგეთი, ი.გოგებაშვილის ქ. N2 (4,07,2013-მდე); გ. დოლიძის ქ. N7 (4,07,2013-დან) |
| სამეგრელო | ქ. ზუგდიდი, გამარჯვების (ყოფ. სტალინის) ქ. N42 |
| იმერეთი | ქ. ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის N19 |
| რაჭა-ლეჩხუმი | ქ. ამბროლაური, ბრატისლავას ქ. N11 |
| შიდა ქართლი | ქ. გორი, ი. სტალინის გამზ. N48 |
| მცხეთა-მთიანეთი | ქ. მცხეთა, მირიანის ქ. N35 |
| სამცხე-ჯავახეთი | ქ. ახალციხე, ფარნავაზ მეფის ქ. N16 |
| ქვემო ქართლი | ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას ქ. N17 (ყოფ. მეგობრობის ქ. N61) |
| კახეთი | ქ. თელავი, ერეკლე მეორეს ქ. N1 |



სასწრაფო სამედიცინო მომსახურება და საავადმყოფო

1. როგორ უნდა გამოიძახოთ სასწრაფო დახმარება?

- საქართველო შეუერთდა ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ გადაუდებელი დახმარების უნიკალურ კოდს და სასწრაფო დახმარების გამოძახება შესაძლებელი გახდა 112 ნომრით.

2. რა შემთხვევაში უნდა აგვრიფო 112?

112 უნდა აკრიფოთ გადაუდებელი შემთხვევის დროს. გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც აუცილებელია პოლიციის, სახანძრო/სამაშველო ბრიგადის, ან სასწრაფოს დაუყოვნებლივ მოსვლა, იმ შემთხვევაში თუ:

- ხანძარია;
- პიროვნებამ მოულოდნელად დაკარგა გონება;
- პიროვნებას აქვს სხეულის სერიოზული დაზიანება;
- პიროვნებას აქვს ძლიერი სისხლდენა;
- გახდით თვითმკვლელობის მცდელობის თვითმხილველი;
- გახდით მკვლელობის თვითმხილველი;
- გახდით ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თვითმხილველი;
- გახდით ყაჩაღობის თვითმხილველი;
- გახდით ძარცვის თვითმხილველი;
- გახდით ძალადობის თვითმხილველი;
- შეამჩნიეთ პოლიციის მიერ ძებნილი პიროვნება;
- გახდით ნარკოტიკების მოხმარების თვითმხილველი;
- შეამჩნიეთ საეჭვო სახის ნივთი;
- გახდით აფეთქების თვითმხილველი.

გაითვალისწინეთ:

შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ისაუბრეთ გარკვევით და უპასუხეთ 112-ის ოპერატორის დასმულ ყველა კითხვას.



გახსოვდეთ:

ევროკავშირის ქვეყნებში 112-ზე დარეკვა შესაძლებელია მაშინაც კი, თუ მობილური ტელეფონი გათიშულია ორმხრივად, ან ტელეფონში სიმ-ბარათი არ დევს.

საქართველოში 112-ში დარეკვისთვის აუცილებელია მობილური ტელეფონი ფიქსირდაბოძეს საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების (მაგთი, ჯეოსელი, ბილანი) დაფარვის ზონაში.

გაითვალისწინეთ:

112-ში შემოსული ყოველი ზარი იწერება და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ისჯება კანონით!

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი 112:

მის: ქ. თბილისი, ვაშლიჭვრისა და ნუცუბიძის მიკრორაიონების დამაკავშირებელი გზა.

ტელ.: (+995 32) 2 41 96 77, (+995 32) 2 41 96 88



„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“
პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს



პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso